



**დამატებით 20 მილიონი
ბიუჯეტური და 70
ახალი ავტობუსი
რუსთაველებისთვის**

გზ.-2

**ხანძრის ქუჩაზე
სარეაბილიტაციო
სამუშაოები გამწვანების
აქტით დასრულდა**



გზ.-2

**ქველი რუსთავის ავარიული
სახსოვრებელი კორპუსების
სრული გამაგრება-
რეაბილიტაცია აქტიურად
მიმდინარეობს**

გზ.-3



**პროფესიული განათლება
სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი მთავარი
პრიორიტეტია**

გზ.-2



გზ.-4

**რუსთავის პარკში
ოქროს და
ვერცხლის
მედალოსების
დაჯილდოების
საზეიმო ცერემონია
განიმართა**



გზ.-3

**რუსთავში
„ოქსიგენ
ფესტივალის“
მთავარი
მუსიკალური
დღეები
დასრულდა**

რუსთავი: გასული დღეების ქრონიკა

ნინო ლაცაბიძე: განსაკუთრებული მადლობა საქართველოს პრემიერ მინისტრს ირაკლი კობახიძეს იმ თანადგომისთვის, რასაც ჩვენი ქალაქის მიმართ იჩინს



„დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენი ქალაქის წარმომადგენლებს საქართველოს პარლამენტში ალექსანდრე დალაქიშვილს და ირაკლი შატაკიშვილს, იმ ძალისხმევით, რაც ათასობით ჩვენი თანამოქალაქის პრობლემის გადაწყვეტაში მიუძღვით. რუსთავიდან თბილისის მიმართულებით, რუსთაველები კომფორტულად იმგზავრებენ - ეს და ყველა ის ახალი შესაძლებლობა, რაც რუსთაველებს გაგვიჩნდა ბოლო წლებში, ამ ადამიანების თანადგომის, მშობლიური ქალაქის მიმართ ერთგულების და ჩვენი გუნდის

ერთიანობის შედეგია. მადლობა ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი კობახიძეს, რომლის გადაწყვეტილებით, რუსთავის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარით იზრდება და აღნიშნული თანხით რუსთავის მერიამ 70 ერთეული სატრანსპორტო საშუალების შესაძენად ტენდერი გამოაცხადა. დამატებით 70 ახალი ავტობუსის შექმნით რუსთაველებს ათწლეულების განმავლობაში არსებული პრობლემა მოგვარდება.“

ტენდერის დასრულების შემდეგ, შემოდგომიდან, რუსთავი-თბილისის მიმართულებით, თანამედროვე, ეკოლოგიურად

სუფთა, შუბ პირებზე სრულად ადაპტირებული მუნიციპალური ტრანსპორტი, რუსთაველებს დედაქალაქში რამდენიმე მარშრუტზე გადაიყვანს და ბასლაინზე იმოძრაებს, რაც მგზავრების შეუფერხებლად გადაყვანის კიდევ ერთი გარანტი იქნება.

მუნიციპალური ტრანსპორტის რეფორმა, რომელიც რუსთავის მერიამ 2022 წელს დაიწყო, წარმატებით გრძელდება და მოსახლეობისთვის მიცემული კიდევ ერთი პირობა, დედაქალაქის მიმართულებით კომფორტული მგზავრობის უზრუნველყოფა შესრულებულია.

ხანძრის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები გამწვანების აქციით დასრულდა

ნინო ლაცაბიძე: - ხანძრის ქუჩაზე ამიერიდან მუნიციპალური ტრანსპორტიც შეუფერხებლად იმოძრაებს. ეს მოსახლეობის მოთხოვნა იყო და მიხარია, რომ გუნდის მხრიდან დადებული კიდევ ერთი პირობა შევასრულეთ.

რუსთავში, გრიგოლ ხანძთელის სახელობის ქუჩაზე, ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო. 11 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე, სადაც საავტომობილო გზა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა დღემდე არ არსებობდა, ასფალტის საფარი

დაიგო. მოწყობილია ტროტუარები, ბორდიურები და გარე განათება, განახლებულია სანიტარული ქსელიც.

პროექტს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დატვირთვა აქვს. ხანძრის ქუჩის მოსახლეობა მუნიციპალური ტრანსპორტით სრულყოფილად ისარგებლებს.

ახალი გზა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილმა და საკრებულოს ფრაქცია „ქარ-

თული ოცნების» წევრებმა გახსნეს.

მოგვიანებით, ხანძრის ქუჩაზე გამწვანების აქციაც მოეწყო და ახლადრეაბილიტირებულ ქუჩაზე სხვადასხვა სახეობის 100-ზე მეტი ნერგი დაირგო.

გრიგოლ ხანძთელის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 477 405 ლარით დაფინანსდა.



პროფესიული განათლება სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია

სწორედ ამიტომ, სახელმწიფო პოლიტიკის ადგილობრივ დონეზე უფრო მეტად გაძლიერება საჭირო და ჩვენ დღეს სერთიფიკატი გადამცემი ადამიანებს, რომელთა პროფესიული განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება ქალაქისთვის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია.

რუსთავის მერიის ახალი სოციალური პროგრამა- „პროფესიული განათლება დასაქმების ხელშეწყობისთვის“, რომლის დაფინანსებაც მუნიციპალიტეტმა ქალაქის მერის ნინო ლაცაბიძის ინიციატივით მიმდინარე წელს დაიწყო, დეფიციტური პროფესიების წახალისებას ისახავს მიზნად.

პროგრამა კოლეჯ „მოდუსთან“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება.

რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა და კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორმა ნინო ქავთარაძემ პროგრამის ფარგლებში გადამზადებულ 15 რუსთაველს გადასცეს სერთიფიკატი, რომელიც მათ ლიფტის ტექნიკოსის სერთიფიცირებული სპეციალისტის კვალიფიკაციას აძლევს.



შეხვედრას რუსთავის მერის მოადგილე ოთარ ტატალაშვილი და ქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები ესწრებოდნენ.

თხუთმეტივე სერთიფიცირებული სპეციალისტი, პროფესიის შესაბამის პოზიციაზე იმუშავებს.

რუსთავში ძველი ლიფტების ახლით ჩანაცვლების და უფასო ლიფტების პროგრამა უკვე მესამე წელია, რაც მიმდინარეობს.

სერვისის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტმა განათლების სამინისტროს დახმარებით, პროფესიულ კოლეჯ „მოდუსში“ ახალი სასწავლო მოდულის ამუშავება უზრუნველყო.

ამავე პროგრამის ფარგლებში რუსთავის მერია მებაღეობის და საბავშვო ბაღის აღმზრდელის პროფესიის შესწავლის მსურველ რუსთაველებსაც აფინანსებს.

რუსთავის ცენტრალურ პარკში ოქროს და ვერცხლის მედალოსნების დაჯილდოების საზეიმო სერემონია გაიმართა



2023-2024 სასწავლო წლის სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ სპეციალური სიგელები გადასცა.

ოქროს მედალოსნების დაჯილდოება, რუსთავში, ნინო ლაცაბიძის ინიციატივით, უკვე მესამედ გაიმართა.

წელს, ოქროს მედალოსნებს ვერცხლის მედლის მფლობელი ახალგაზრდებიც შეუერთდნენ და 185 წარჩინებულ კურსდამთავრებულს მერიისგან ფულადი ჯილდო პირად საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა.

მერიის ფულადი ჯილდოს გარდა, ახალგაზრდებმა სხვა საჩუქრებიც მიიღეს.

ლონისძიების სპონსორების თანადგომით, ოქროს და ვერცხლის მედალოსნებს, ლოტოტრონით გათამაშებული პრიზები გადასცეს.

რუსთაველი მედალოსნების დაჯილდოების ცერემონიას პარლამენტარი ბაია კვიციანი, ქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები, რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი თამარ ხეჩიკაშვილი, ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების დირექტორები და რუსთაველი ბიზნესმენები დაესწრნენ.



რუსთავის მერი მუნიციპალური სერვისების ცენტრში, ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის ყოფილ განმარტებელ მდივან ანდრეას კიფერს უხვდა

ნინო ლაცაბიძემ სტუმარს მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები, ქალაქის განვითარების ახალი ხედვა და გეგმები გააცნო. შეხვედრას რუსთავის მერის მოადგილე კახა გურული და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები ესწრებოდნენ. მოგვიანებით ანდრეას კიფერი ნინო ლაცაბიძესთან ერთად, მედიათეკაში, პროექტის „თაობა

რუსთაველის“ ფარგლებში, ახალგაზრდებს შეხვდა. ევროსაბჭოს კონგრესის ყოფილმა განმარტებელმა მდივანმა ანდრეას კიფერმა შეხვედრისას, თვითმმართველობის მნიშვნელობაზე, ევროპული თვითმმართველობების მუშაობის სპეციფიკაზე და დემოკრატიის განვითარებაში ადგილობრივი თვითმმართველობების როლზე ისაუბრა და ახალგაზრდების კითხვებს უპასუხა.

ქველი რუსთავის ავარიული სასახლეები კორპუსების სრული გამაგრება-რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

მიმდინარე წელს სამუშაოები 12 მისამართზე უკვე დასრულდა და 4-ში აქტიურად მიმდინარეობს. 2024 წელს რუსთავში, ჯამში 16 კორპუსის გამაგრება-რეაბილიტაცია იყო გათვალისწინებული. რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი, მერის მოადგილე ბესიკ ტოგონიძე და საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები ავარიული კორპუსების გამაგრება-რეაბილიტაციის პროექტების მიმდინარეობას სამუშაო ფორმატში ადგილზე გაეცნენ. დღეისათვის ქაშაკაშვილის №8 და №10-ში, დონეცკელი მეტალურგების გასასვლელის №18-

ში საძირკვლის გამაგრება დასრულდა და ფასადების სამუშაოები მიმდინარეობს, აქტიურად მიმდინარეობს კოსტავას გამზირის №1 კორპუსის საძირკვლის გამაგრებაც. რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტის მეორე ეტაპის ფარგლებში რუსთავში 11 კორპუსის გამაგრება-რეაბილიტაცია განხორციელდა, დასრულებულია ვაჟა-ფშაველას მე-2-ე გასასვლელის №4-ის გამაგრება-რეაბილიტაცია. 2024 წელს რუსთავში ავარიული კორპუსების გამაგრება-რეაბილიტაციისთვის ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამში 8 070 856 ლარი იყო გათვალისწინებული.



რუსთავში „ოქსიგენ ფესტივლის“ მთავარი მუსიკალური დღეები დასრულდა

რუსთავის პარკში ფესტივალის სივრცე დანიურმა ჯგუფმა „Outlandish“ და „KORDZ“-მა დაიკავეს. კონცერტის დაწყებამდე კი მუსიკალური ჯგუფის წევრებს, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი, პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი და ოქსიგენის დამფუძნებელი, მუსიკოსი ლაშა ნოზაძე შეხვდნენ და მედიის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ გააცნეს ფესტივალის შინაარსი. იმ დღეს, ოქსიგენ ფესტივალის და „შერეკილების“ კონცერტით უმასპინძლა სტუმრებს, 7 ივლისს, კი ფესტივალი „რეგიონმა“ და „MURO“ დასრულდა. საფესტივალო კარი სტუმრებისთვის 16:00 საათიდან გაიხსნა. ტერიტორიაზე მოწყობილი იყო კვების და ლუდის სივრცეები, ადგილობრივი მენარმეების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.



„ოქსიგენი“ რუსთავში პირველად 2022 წელს გაიმართა. წლებგანდელი ფესტივალი განსაკუთრებული მასშტაბურობით იყო გამორჩეული და უკვე თვეზე მეტია გრძელდება. საფესტივალო სივრცე რუსთავის პარკში, ამფითეატრისა და რუსთავის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო მოწყობილი და სხვადასხვა მუსიკალურ ჯგუფებსა და სტუმრებს 1 ივლისიდან მასპინძლობდა. ივლისის ყოველ შაბათ-კვირას, რუსთავის პარკში არსებულ ტბასთან ფიშ ფესტივი მიმდინარეობდა. საფესტივალო სივრცე განსაკუთრებით აქტიურად იყო დატვირთული ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრების მატჩის დღეებში, როცა რუსთაველი გულშემატკივრები ფესტივალის ტერიტორიაზე მოწყობილ დიდ ეკრანთან იკრიბებოდნენ და ერთად ქომაგობდნენ ეროვნულ ნაკრებს. ოქსიგენ ფესტივი რუსთავის მერიის და „ოქსიგენის“ ორგანიზებით იმართება.

საბავშვო ბაღების დაგეგმვა-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ახალი საბავშვო ბაღების დაგეგმვა-რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს



რუსთაველი პატარებისთვის გამოსაშვები ალბომების გადაცემის ტრადიციას საფუძველი, რუსთავის მერიის ნინო ლაცაბიძის ინიციატივით გასულ წელს ჩაეყარა. წელს მერიის საჩუქარი ბავშვების გაერთიანების დამამთავრებელი ჯგუფების 1620-მა ახალგაზრდელმა მიიღო.

გორა კინწურაშვილი, ექიმი-ქირურგი, რუსთავში დაბადებული და გაზრდილი, სამოც წელს გადაცილებული ღირსეული ქართველი კაცი, ვისი სახელითაც სრულიად დამსახურებულად უნდა ვიამაყოთ რუსთაველებმა, ხოლო იმათ, ვისაც ექიმმა თავისი მაღალი პროფესიონალიზმით და ჰუმანიზმით სიცოცხლე შეუნარჩუნა, ყოველდღიურად მის სახელზე სანთელს უნდა ანთებდნენ და ლოცულობდნენ. ასეც არის.

...ნაღვლისა და პანკრეასის უმძიმესი შეტევით სამ საავადმყოფოში მიმყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანით, თბილისში, ნიუ ჰოსპიტალში, სადაც ჩემი ასაკის გამო იჭვნეულად შემოხედეს, უინტერსოდ გადაფურცლ-გადმოფურცლეს ანალიზები და ძალიან ცივად მითხრეს, ვერ მიგიღებთო.

80-ს კარგა ხანია გადავავიწყვტე, მაგრამ, მოგესვენებათ, სიცოცხლეს ადამიანი ვერასდროს ელევა, მე კი, ისე გამამწარა ტკივილებმა და ავადმყოფობამ, ლამის თავის მოკვლა განვიზრახე. მეორე შეტევისას, თითქმის გონდაკარგული ვ. წ. მეტალურგიაში, მამარდაშვილის კლინიკაში მიმიყვანეს. აქაც იგივე, ურთულესი მდგომარეობა გაქვთ პანკრეასზე და ვერ მოგხედავთ... ისევე თბილისში გამიშვეს...

ისტორიით თავს აღარ შეგანწყენთ, არ დავმაღლებ, შეუბრალებლობა და გულგრილობა აშკარად გამოხატული კომერციული დაინტერესების ფონზე ყველგან იმდენად თვალშისაცემი იყო, ლამის პასუხს რომ გვცემდნენ, იმაშიც ფული უნდა გადაგვხადო. არადა, ჩემი, პენსიონერის რეალური მდგომარეობა, ყოველგვარი კრიტიკის ზღვარს სცილდებოდა. სადაზღვევო პაკეტისა და ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარების იმედზე ვიყავი. ამ ტანჯვა-წამებასა და აქეთ-იქით სიარულში ღვთის კარნახით ათეული წლის წინ ჩემს ყოფილ საცხოვრებელ ბინაში გაზრდილი გორა კინწურაშვილი გამახსენდა, მოვიკითხე და აღმოვაჩინე, რომ კლინიკა „რუსთავში“ მუშაობდა ქირურგად. გვიამბობს ამჟამად სრულიად საღ-სალამათი გ.კ.

88 წლის გადადებულ პაციენტს გორა ექიმმა რისკის ფასად ნაღვლისა და პანკრეასის სადინარში გაჭედული მოზრდილი კენჭის დიაგნოზის საფუძველზე ოპერაცია გაუკეთა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და მოხუცი, არც მეტი, არც ნაკლები, საიქიოდან გამოაბრუნა. ეს, მოსაყოლად, სათქმელად, სინამდვილეში ურთულესი დღეები და ღამეები, მოხუცი ავადმყოფის გვერდზე ყოფნა, ბრძოლა, ძიება, შველისა და ნუგეშის უსაზღვრო სურვილი და...

სათნობით, სიმდაბლითა და სიყვარულის ნიჭით ექიმად დაბადებული კაცის პროფესიული კრედო – ადამიანებს ღმერთი აძლევს სიცოცხლეს, მე კი, როდესაც მომკვდავი პაციენტის სიცოცხლისათვის ვიბრძვი და ყველაფერს ვაკეთებ, მგონია, რომ ღმერთს ვენმარები, ღვთის საქმის კეთებისათვის კი, მხოლოდ მთლიანად უნდა დაიხარჯო.

შტრიხები პორტრეტისათვის: დაიბადა 1963 წლის 29 ოქტ-

გორა კინწურაშვილი, კლინიკა „რუსთავის“ ქირურგი



ალბათ, ღმერთი მაძლევს ძალას, ადამიანი სიკვდილისგან ვიხსნა!..

მბერს ცნობილი რუსთაველი ქიმიკოსი ინჟინრის ოთარ კინწურაშვილის და საბავშვო ბაღის პედაგოგის სიუზანა ხმელიძის ოჯახში. ჰყავდა და ჰყავს ერთადერთი უსაყვარლესი, ისიც მედიცინის მუშაკი დაიკო, მარინა, რომლისთვისაც ძმა უპირველესი საფიცარია. ოჯახიდან ბევრ სიკეთესთან ერთად სამი მუდმივად დასამახსოვრებელი ცხოვრებისეული კანონი გამოჰყვა: 1. სწავლა – ცოდნისთვის, წიგნი – განათლებისთვის, განათლება – ადამიანებისათვის,

2. სამართლიანობის განცდა და თავმდაბლობა, როგორც მუდმივად სატარებელი რელიქვია მთელი სიცოცხლის მანძილზე და ყოველდღიურ ყოფაში,

3. ქრისტიანული მორალიდან ყველაზე მთავარი – არა აქვს მნიშვნელობა ვინ არის, მილიონერი თუ უპოვარი, ახალგაზრდა თუ მოხუცი, პრეზიდენტი თუ მეეზოვე, უჭირს? დაეხმარე...

ასე იცხოვრეს კინწურაშვილებმა, გორას მშობლებმა, მშობლების მშობლებმა, დღეს აღარც დედა და აღარც მამა, სამაგიეროდ, ყველა ასაკობალებული პაციენტის ადგილზე არის იმის წარმოდგენა და განცდა, რომ ისინი მისი მშობლები და უახლოესი ადამიანები არიან.

გავუსწრებ მოვლენებს, დავარღვევ თხრობის თანმიმდევრობას და ბატონ გორას ნაამბობიდან – სამედიცინო ინსტიტუტი უკვე დამთავრებული მქონდა, აქ, საქართველოში ვიყავი, მამა ძალიან ცუდად გახდა, კუჭის ოპერაცია დასჭირდა, ლენინგრადში გადავავარდინე და იქ ჩემი ხელით გავუკეთე ოპერაცია ჩემი კოლეგების კონსულტაციებით. მე მას რამდენიმე წლით გაუზხანგრძლივე სიცოცხლე. მერე, სიკვდილის წინ სულ ამას მეუბნებოდა: მე რომ მიპატრონე და მომხედვ, ყველას ასე მოექცევი, სხვანაირად ექიმად ვერ გამოდგებიო.

მოკლედ, რუსთავში რუსული სკოლა დაამთავრა და პროფესიის არჩევნას, მამას განუცხადა, რაკილა გასურთ, რომ ექიმის გავხდე, სხვაგან, არსად, მხოლოდ ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარებო. ამ არჩევანის გაკეთებამდე განათლებულმა რუსთაველმა ჭაბუკმა ბევრი რამ იცოდა ლენინგრადის პირველი სამედიცინო ინსტიტუტისა და იქ მოღვაწე ცნობილი მედიკოსი მეცნიერების, მედიცინის დარგში აკადემიკოსის ფიოდორ გულგოვისა და აკადემიკოს ნიკოლაი

ამოსოვის შესახებ. ნაკითხული ჰქონდა მათი ნაშრომებიც და გადანყვეტილებაც ლოგიკურად მიიღო. ამ ორივე მეცნიერს ახლა უკვე დიდი სიამაყით იხსენებს, იქ სწავლისას შეხვდა, დაუმეგობრდა და მათთან ერთად ატარებდა ოპერაციებს. იხსენებს იმასაც, რომ თავად დაესწრო პროფესორ გულგოვის ქირურგიულ ოპერაციას, თავის 100 წლის დას რომ გაუკეთა და გადაარჩინა.

წ წელზე მეტი იმუშავა ლენინგრადში, სტუდენტობის პერიოდშივე ანდობდნენ ურთულესი ოპერაციების გაკეთებას და მაინც, განსაკუთრებულად ასხენდებოდა პირველი შემთხვევა: რთული ოპერაციის მსვლელობისას, როგორ გადასცა ხანდაზმულმა პროფესორმა მას მოულოდნელად ქირურგის სკალპელი და მხოლოდ ერთადერთი სიტყვა უთხრა – განაგრძე, ყველაფერი წარმატებით დასრულდა.

ამ უნიჭიერეს, სწავლაში წარმატებულ და მაღალზნობრივი თვისებებით შემკულ ქართველს ლენინგრადში ყველა პირობა ჰქონდა რომ დარჩნილიყო და თავის საყვარელ მეცნიერებთან ერთად ემუშავა. კარიერულადაც ამალღებულყოფი, მაგრამ ინფორმაციები საქართველოდან: სამშობლოში გასაჭირია, უჭირს ქართველობას, ადამიანები პურის რიგში დგანან, ჭირს ეკონომიკა, სამოქალაქო ომის სამზა-ნისია. ისე რომ, საქართველოში ჩამოსულმა მშობლიური ქალაქი ველარ იცნო, დაცარიელებული ქუჩები, დილის 5 საათიდან პურის რიგები, მეტალურგიულ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა ქირურგად და როგორაც შეეძლო ეხმარებოდა ავადმყოფებს.

უფრო მთავარი, ინტენსიურად დაიწყო მიზნობრივად და ხელახლა კითხვა საქართველოს ისტორიის, რელიგიის, კულტურის ისტორიების კითხვა, ქართული კლასიკური მწერლობის ძირფესვიანად გაცნობა და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ქვეყნის წარსული და თანადროულობა ახლებურად გაეაზრებინა. მერე, აფხაზეთის ომი, ყოვლისმომცველი დასკვნა პერსონალური ცოდნის და აღქმის დონიდან „ჩვენ ომი არ წაგვიგვია, ჩვენ წავაგეთ ბრძოლა ლაღატითა და ორპირობით“.

...აქ საქართველოში არანაირი პერსპექტივა, ერთხანობას ისევე ლენინგრადში წავიდა, კვლავ პროფესიონალიზმის ამაღლება, ოპერაციები მუცლის ღრუში, გულმკერდის არეში, სისხლძარღვებზე, ენდოკრინოლოგიური, გულის, ზოგჯერ გინეკოლოგიურიც კი.

...2008 წლის ომი. ექიმი ისევე სამშობლოში ჩამოვინდა და გორის სამხედრო ჰოსპიტალში იწყებს მუშაობას ქირურგად. ამ დროს იგი ქირურგიული დეპარტამენტის უფროსიცაა და ფრონტის ცხელ ხაზზე ითხოვს წასვლას.

ჩვენი ბიჭები ძალიან ვაჟკაცურად იცავდნენ პოზიციებს, ბევრ დაჭრილს ვუშველეთ, ყოველდღე მე და ჩემი კოლეგები სიკვდილს ვუყურებდით თვალში, ამ ომში ლაღატიმ დაგვლუპა, მე ბევრი რამ ვნახე, ბევრი რამ შევაფასე და, დღეს თუ რამეს განვიცდი, უდანაშაულოდ მსხვერპლად გაღებულ სამხედროთა უაზროდ განწირული სიცოცხლეა. დღემდე განვიცდი ათასობით ქართველის ბედს ამ ომმა რომ შეინირა და უსახლკაროდ დატოვა.

უმძაფრესი სიტუაციის მიუხედავად, გადაარჩა. ომის შემდეგ იგი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

...და 33 წლის ასაკამდე მოაღწია. ქართველი ქირურგი მულჩაუხრელად მუშაობს გორში, თბილისში, რუსთავში. ქირურგიული ოპერაციების გრაფიკი მუდმივად აქვს ჩანიშნული სამუშაო წიგნაკში, მას უკვე კარგად იცნობენ და ენდობიან, მშობლები კი მის დაოჯახებაზე ოცნებობენ. არ გადავაჭარბებ, მას, მშვენიერი გარეგნობის გამო, მაღალს, ლამაზს, რუსთაველ აღენ დელონს ეძახდნენ აქაც და რუსეთშიც. და ეს უკვე ბევრის მნახველი, გემოვნებიანი, უნესიერესი ქართველი კაცი ღმერთმა თავის შესაფერის პარტნიორს, 17 წლის ეკატერინე ჩიქოვანს თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში ექიმის მოვალეობის შესრულებისას გადაჰყარა. ბებიას ოპერაცია გაუკეთა, მოხუცს მკურნალობდა, უმშვენიერეს პარტნიორთან შეხვედრაც ასე მოხდა. დღემდე ლამაზად გრძელდება მეუღლეთა ტანდემი.

კინწურაშვილების უბედნიერეს ოჯახში სამი შვილი იზრდება, უფროსი გოგონა ელენე ოჯახს, ეკატერინემ, პირველ კურსზე უმაღლესში რომ ჩააბარა, მაშინ შეეძინა. ელენე თბილისში საჯარო სკოლის სწავლისას, იმარჯვებს ერთ-ერთ მიზნობრივ კონკურსში და სასწავლებლად ამერიკაში იგზავნება სკოლის დასამთავრებლად. ამ

საფეხურის წარმატებით გავლის შემდეგ მან ასევე თვალსაჩინო წარმატებით დაამთავრა პოლონეთში ვარშავის საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი და ახლა, 25 წლის ასაკში, მუშაობს ვარშავის მარშალის ოფისში სერიოზულ თანამდებობაზე. არის უგანათლებულესი ქართველი, ენების მცოდნე, დიპლომატი და თავის თავზე მორგებულ ძლიერ საპასუხისმგებლო საქმიანობას შესაშურ დონზე უძღვება. მას ძალიან უყვარს საქართველო და მიაჩნია, რომ სამშობლოზე ძვირფასი არაფერია.

პაპის სენია ოთარი, მორაგბეთა იმ გუნდის წევრი, ევროპის ჩემპიონატებში რომ იღებს მონაწილეობას.

12 წლის რატიც, მორაგბეთა არაჩვეულებრივად ხატავს. ვინ გამოვა, ჯერ არ იცის, რაც მთავარია, მშობლებივით ძალიან უყვარს წიგნები.

ამჟამად ბატონ გორასთვის მსოფლიოს ცნობილ მედიკოსთა თეორიული შრომები სამაგიეროდ წიგნებია, იგი გამუდმებით კითხულობს, ეჯიბრება დროს და საკუთარ თავს, მას მუდამ ეჩქარება საავადმყოფოში, ოპერაციებზე, ავადმყოფებთან, რომელთაც თვალი პალატის კარებისკენ უჭირავთ და მოუთმენლად ელიან მისი ღმირიანი სახის გამოჩენას. და თუ მონახავს თავისუფალ დროს, უდიდესი გულმოდგინებით უსმენს ერიკ კლეპტონს, დიდ ბრიტანელ მუსიკოსს, ბლუზისა როკის ნამდვილ ჯადოქარს. ეამაყება, რომ არის ქართველი და ისევე დაუსრულებლად კითხულობს საქართველოს ისტორიას დასაბამიდან დღემდე. ამ საამაყო რუსთაველი ქირურგის სახელით ძალიან გახმაურებულია, რაც, ბუნებრივია, თავმოწონების ქეშმარიტი საბაბია, უფრო სწორად, უნდა იყოს. ის კი, ძალიან სიმპატიური, მაღალპროფესიონალი ექიმი ინტერვიუს დამთავრებისას, მაღლობას რომ ვუხდით, მეუბნება: „სათნოა, სიმდაბლე და სიყვარული ადამიანად ყოფნის საფუძველია. ადამიანები უნდა ისწრაფვოდნენ სრულყოფილსაკენ, ხოლო არაფერია სიყვარულზე სრულყოფილი და სიმდაბლეზე უმაღლესია „სიმდაბლე სატანის ყველა მახეს თავს აღწევს“ – ეს ბერი ამბა ანტონის შეგონებაა, რითაც მე ყოველდღიურად ვხელმძღვანელობ.

ბევრი არაფერი, მე ღმერთი მაძლევს ძალას, რომ ადამიანები გადავარჩინო, მათ სიცოცხლე გავუხანგრძლივო, ღვთისნიერი საქმის კეთებაზე კარგი, არაფერია. თქვენ არ მეკეთხები, მე კი გეტყვით, რომ თუ ოპერაცია როდისმე სიკვდილით მთავრდება მეც სიცოცხლის ნაწილს იმ ადამიანთან ერთად ვტოვებ.

უმრავლოს რუსთავს და მთლად საქართველოს ასეთი ექიმები.

ლია მარტაშვილი

P.S. კლინიკა „რუსთავი“ დღეს საქართველოში ცნობილი სამედიცინო ფანქარულია პირველი რიგში, რაღათქმა უნდა, ძალიან გამორჩეული ექიმებით და გონიერი ადამიანებისტრაციული აპარასტი.

28 რაიონი - ეს მაქსიმუმი არ არის!

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი სოფლად ახალგაზრდების დახმარებაზე ზრუნავს

ქართული სოფლის დღევანდელი ყოფის შესახებ ბევრი იწერება და ბევრიც ითქმის. გააჩნია დამწერსაც და მთქმელსაც. საკუთარი თვალთ დანახული დედულ-მამულის ხილვა მაინც სულ სხვაა. ამჯერად კახეთი - გურჯაანი, თელავი და ლაგოდეხი. არაჩვეულებრივ გზებს, ახალ-ახალ შენობებს, დაგვილ დასუფთავებულ გარემოს დაუმშვენებია სამივე ქალაქი და სამივე რეგიონი. აშკარად იგრძნობა, რაიონების მესვეურთა გონიერება და ხელიც. და ეს წინსვლა ძირითადად ადგილობრივი ახალგაზრდა კადრების დამსახურებაა და არა მხოლოდ ნომენკლატურულ თანამდებობებზე მყოფი სპეციალისტებისა, არამედ იმათი დამსახურებაც, ვინც სკოლის დამთავრების შემდეგ საშუალო, საგანმანათლებლო ტიპის სასწავლებლებში განაგრძეს სწავლა და სერთიფიკატილებულმა მუშაობა დაიწყო ადგილობრივ განვითარებად დარგებში. მათ უმეტესობას, როგორც ჩვენთან საუბარში გაირკვა, ჩამოყალიბებული მოსაზრება აქვს უმაღლესი განათლების მიღებასა და დიპლომზე.

ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ დიპლომირებულ ახალგაზრდებს წლობით უწევს სამსახურის ძიება. ბევრდებათ ეს პროცესი და იძულებული ხდება, დასაქმდნენ არაპროფილურ სამუშაოზე, ან საზღვარგარეთ წავიდნენ. და ეს მაშინ, როდესაც 5 წელი ისწავლეს, რეპეტიტორებთან ფული დახარჯეს, ეგ კი არა, ზოგმა ბაკალავრიატის კურსის დასრულების შემდეგ, მაგისტრატურის კურსიც გაიარა, მაგრამ, ამაოდ. ჩვენ კი, აი, როგორც ხედავთ, უკვე

დასაქმებულნი ვართ და კარგ ხელფასაც ვიღებთ... ღიმილით გვიყვებიან რუსთავის საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის, თელავის, ლაგოდეხის და გურჯაანის რაიონული სასწავლო ცენტრების სტუდენტები და სტუდენტად ყოფილები.



გვესაუბრება გურჯაანის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი დინა სხაზარაძე: - ჩვენს რაიონში ოც წელზე მეტია, გაიხსნა ასეთი საშუალო ტიპის სასწავლებელი ცენტრიდანული მართვით. მსურველები სამწლიან სწავლებით კომპიუტერით, დაცვა-პატრულირებით, ფარმაცევტის, გიდის, ექთნის თანაშემწის სპეციალობებზე სწავლობენ. ახალგაზრდები ძალიან დაინტერესდნენ ამ სპეციალობებით და დღემდე კეთილმოწყობილ შენობაში ვამუშავეთ ცენტრს. ამ საგანმანათლებლო პრობლემის დადებითად გადაწყვეტამ გარკვეული როლი ითამაშა სოციალური პრობლემის მეტნაკლებად მოგვარებაში. ჯერ ერთი, ახალგაზრდები დაკავდნენ სწავლითა და შრომით, ისინი რაიონსა და მშობლირი სოფლის ოჯახებს შერჩნენ,

ძალიან უხარიათ თანამომხეთა შორის ყოფნა და მუშაობა. საქმეშიც სომ დაოსტატდნენ, ბევრმა უმაღლესშიც განაგრძო სწავლა. ამ ყველაფერს ჩვენ და ჩვენი კურსდამთავრებულები რუსთავის აკადემიური ქარქტორი და ცენტრის ხელმძღვანელები იბარებენ. ლაგოდეხის ცენტრის მენეჯერი მარინე ზურიკაშვილია. ისიც ესწრება გამოცდებს, საიდანაც გამარჯვებულის ღიმილით გამოდიან მომავალი გიდები, კომპიუტერის სპეციალისტები, ექთნის თანაშემწეები, დაცვა-პატრულირების, ფარმაცოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი. მათ ხელში კოლეჯის წარმატების დამთავრების სერთიფიკატი უჭირავთ. ისინი ამ დღეებში დასაქმდებიან - ამ ფრანზას უკვე რაიონის მუნიციპალიტეტში გვეუბნებიან და იმასაც დასძენენ, რომ ასეთი ტიპის სასწავლებლების სიმრავლე შესაშურ გარემოს ქმნის ახალგაზრდა კადრების ადგილზე დასაქმებისათვის, სოფლიდან ქალაქად ან საზღვარგარეთ მიგრაციის შეჩერებისათვის.


გვესაუბრება ინსტიტუტის რექტორი ბატონი ბერი ჩუშვიძე: - დიას, ჩვენმა ცდამ, გვეზრუნა სოფლად ახალგაზრდების დამაგრებაზე, აშკარად შედეგი გამოიჩინა. ასეთი საშუალო ტიპის სასწავლებლები ქვეყნის 28 რაიონში გავსენით, გეტყვით გულწრფელად, თავიდან ძირითადად დაქირავებულ შენობებში, ეს წლების წინ იყო, ახლა სიამაყით ვაცხადებ, რომ ყველა რეგიონში ჩვენივე საკუთარი შენობები შევიძინეთ ან ავიშენეთ. ყველა ცენტრი შესაფერისადაა აღჭურვილი და მზადყოფნაშია სასწავლო პროცესის წარსამართვად, ახალგაზრდებს ძალიან მოსწონთ აქ არსებული თავისუფალი ჰუმანური გარემო, პედაგოგებიც კონკურსის გზით საგანგებოდ გვყავს შერჩეული. გამოსაშვები გამოცდები მუდამ ჩვენი მეთვალყურეობით ტარდება, არის შემთხვევა, როდესაც სტუდენ-

ტი ორჯერ, სამჯერ აბარებს გამოცდას, რათა ჯეროვნად მოამზადოს საგამოცდო თემები და სრულიად მომზადებული დასაქმდეს სამუშაო ადგილზე. წარმატებებს ვუსურვებ ყველა კურსდამთავრებულს, რაიონის ცენტრსა და სოფლებში მათ ადგილებზე ვლიან.

...განათლება ევროპულად, ამერიკულად, ეს უკვე მოარული და პოპულარული თემებია ჩვენს ქვეყანაში. კარგი კი იქნება, განათლება საქართველოსათვის ქართული მიზნებით, საქართველოს გადარჩენისა და სოფლის აღორძინებისათვის, ჩვენ დღეს სწორედ ეს გვჭირდება და ამ საქმეების დასტური იქნება ის, რომ ამგვარი ტიპის სასწავლებლების რაოდენობა აგრარულ რეგიონებში, კიდევ უფრო გაიზარდოს.

თუმცა, ჩვენი ქალაქი აგრარული მიმართულების არ არის და ვერც იქნება, აკადემიური ქალაქის რექტორმა მიიღო გადაწყვეტილება, რუსთავში არსებულ კოლეჯში გახსნას ახალი ფაკულტეტი, კერძოდ, დეკორატიული მცენარეთა გაშენება-მოვლისა და მრავალწლიან ან ერთწლიან ხე-ნარგავთა გაშენება-მოვლისათვის ახალგაზრდების დაოსტატებისათვის. ჩვენს ქალაქს, სადაც ასე ინტენსიურად შენდება რეკრეაციული ზონები, უამრავი სკვერით, დეკორატიული სიმეტრიებითა და პროპორციებით, ხეთა სიმრავლით, ალბათ უპრიანი იქნება, თუ ამ აგრარული დარგის სპეციალისტები კვალიფიციურ განათლებას აკადემიურ დონეზე მერსზე და წიგნიდან მიიღებენ, ხოლო შემდეგ შესაფერის სამსახურში დასაქმდებიან.

ლია მარტაშვილი



პრეზენტაცია

„ბაზაფხულის შემობრძანება“

უფალმა ქართველ კაცს მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭი მიჰმალა: ნიჭი სიმღერის, მსახიობის, პოეტის... მაგრამ ეს ყველაფერი ერთ კაცს რომ უბოძა, მართლაც დიდი საჩუქარია.

ასეთი ქუდბედით დაიბადა და მოევილინა ჩვენს ქვეყანას ამირან ამირანაშვილი. იყო ოპერის მომღერალი, ვისაც ხელოვნების ამ დარგში დიდ წარმატებებს უწინასწარმტყველებდნენ...

იყო კინოსა და თეატრის მსახიობი და აქაც წარმატებული. იყო და არის პოეტური მუზის გულთბილი მასპინძელი, სამშობლო ქვეყნის, ერის სიყვარულით სავსე ლექსების კრებულების („გზა ტაძრისაკენ“, „სამების მადლით მოვდივართ სამნი“, „ჯარისკაცის დღიური“, „ჩემი ნუთისოფელი“, „ღვთიური მგზავრი“) ავტორი.

დღეს ამირან ამირანაშვილი ღმერთის, ეკლესი-

ის მსახურია, თბილისის მაცხოვრის ამალღების ეკლესიის დეკანოზი, მრევლს ღმერთის, სიმათლის, სამშობლოს სიყვარულს უქადაგებს... მისი ლექსები, როგორც რელიგიურ, ისე საერო თემებზე შექმნილი, მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამის დასტურია ის, რომ ხშირად უწყობენ შეხვედრებს, იღებენ მისგან დალოცვას და სულიერ საზრდოს.

მსმენელმრავალი შეხვედრა მოუწყეს მოძღვარსა და პოეტს რუსთაველმა პოეზიის მოყვარულებმა. ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარ ბიბლიოთეკაში მისი ლექსების ახალი კრებულის - „ბაზაფხულის შემობრძანება“ - პრეზენტაცია გაიმართა. წიგნის რედაქტორია პოეტი მანანა გორგიშვილი, რეკლამა: ლამზირა შეყილაძე, ეთერ ჭელიძე.

მსმენელებს საპრეზენ-

ტაციო წიგნი წარუდგინა ლამზირა შეყილაძემ. პოეტის შემოქმედებაზე, მხატვრულ ღირებულებაზე, ასევე ავტორზე გულთბილად ისაუბრეს განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა მარინა უგულავამ, მასპინძელმა მწერლებმა: მარინა ცხვედიაშვილმა, ლია ბეჟანიშვილმა, ეთერ ჭელიძემ. ლია მარტაშვილმა, თინათინ სიყმაშვილმა, ნანა ყალიჩავამ, ასევე სტუმრებმა: ნიკოლოზ გოდერძიშვილმა, ბელა ალანიამ, ლეილა გაფრინდაშვილმა, ლადო ოკუჯავამ.

საპრეზენტაციო წიგნის ავტორმა ამირან ამირანაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო თავისი განვლილი ცხოვრების გზა, დალოცა, გამოთვლიანებულ, გაბრწყინებულ საქართველოში ცხოვრება, ერთმანეთის სიყვარული უსურვა და ახალი წიგნიდან ლექსები წაიკითხა.

ფრიდონ კენკეზაშვილი 80 წლისა!

ერთი აკიზოდის გახსენება იმ შაკ-ბნელი ფლეზიდან

ფრიდონ კენკეზაშვილი, როგორც ღირსეული რუსთაველისა და სამართლებრივი დარგის მაღალპროფესიონალი მუშაკის დამსახურება რუსთაველებსათვის ცნობილია. მან თავის უმშვენიერეს მეუღლესთან, ქალბატონ თინასთან ერთად გასული საუკუნის ბოლო ათწლეულების უმკაცრეს დროში უსაშინლეს ქართველებს გაუძლო და ბოლომდე შეინარჩუნა პოლიციის უმაღლესი კატეგორიის, სანიმუშო პიროვნებისა და რუსთაველებისათვის დასამახსოვრებელი თანამემამულის სახელი.



ბერძენ იზა ოსიპოვას, აპარატურის ტექნიკოსის გამოძახება გვთხოვეს. ვანდა გაგნიძე ნამებში მიხვდა მდგომარეობას, სტუდიაში შემოვიდა, მოისმინა მათი დავალება, ზურგით შებრუნებულმა თვალი ჩაგვიკრა, შესტიკულაციით გვანიშნა, არ შეშინდეთო და აპარატურის ოთახისაკენ გაეშურა.

სტუდიის მინის ფანჯრიდან მცირე პაუზისას ერთ-ერთი აყვირდა, მუქარაზეც გადავიდა, აქ ტყუილად არ მოვსულვართ, მიკროფონი ჩაგვირთეთ, სტუდია ჩაგვაბარეთ, ხალხს უნდა მივმართოთ.

შიშმა დაგვაბნია, მაგრამ განცდა იმისა, რომ გვერდით ოთახში საქართველოს რადიოს კორესპონდენტი ბატონი გივი ჯახუა იჯდა და ალბათ გაიგებდა, ან არადა, დაცვის მუშაკები არ მიგვატოვებდნენ, იმედი ბოლომდე შეგვიწინარჩუნა.

სტუდიის მინის მიღმა მე და ჩემი კოლეგა აშკარად ვხედავთ, თეთრხალათიანი ოპერატორი, ჩვენი უსაყვარლესი, ან გარდაცვლილი, ამ დანესებულებაში დაბერებული ვანდა გაგნიძე ლამის კანკალებს და აპარატურის ერთი კარადიდან მეორე, მესამეზე გადანაცვლებული, როგორ ხელოვნურად აყოვნებს

ქსელის ჩართვას, ესენი, ლამის ღრიალებენ, არ ჩართავ დროულად და მერე არავის არაფერი დააბრალოთო, თან დემონსტრაციულად იარაღს ხელში ატრიალებენ. ერთიც და, ერთ-ერთი ფეხზე დგება, მიკროფონს ხელს მთელი ძალით კრავს, იატაკზე აგდებს და ბიჭებს ეუბნება გადით გარეთ, ეს ძალით შეიღებები რაღაცას ხიზანობენო, (ეს სიტყვა დღემდე დამრჩა მენსიერებაში). ჩვენ ორნი სტუდიაში ვდგავართ და გარეთ არცერთს არ გვიშვებს, და მე მეუბნება, მარტაშვილო, ვიცი ვინცა ხარ, ამ ქალაქის მთავრობის რუპორი, ესლა გვიტხარი, რა უნდა უთხრა ხალხს ჩვენზეო, პირიდან ლამის დორბლი გადმოსდის და თვალებს უმკაცრესად აბრიალებს.

აი, ამ ყოფაში მოგვისწრო ბატონმა ფრიდონმა გივი ჯახუასთან და თავის სამ თანამშრომელთან ერთად შემოვიდა რედაქციაში, არ ალელვებულა, მისმა სიმშვიდემ კიდევ უფრო დაგვაბნია.

— აბა რა ხდება, ბიჭებო, რა გსურთ, გარეთ გამოდით და ვისაუბროთო. ოთხივენი დერეფანში გაიყვანა, იქიდან კი ფოსტის შენობის კიბეებს დაუყვანენ, ასე გადავრჩით. ეს ერთი და სხვა რამდენი შემთხვევა. ბატონ ფრიდონზე და მის თანამოაზრე, თანამოსაქმე მეუღლეზე ნიგნი უნდა დაინეროს. მათ მშვენი-

ერ, განუმეორებელ, მარადიულ მეუღლეობრივ ტანდემზეც, მათ უშესანიშნავეს შვილებზე, ბევრი რამ არის დასანერი.

პირადად მე, ვგრძნობ, ამ ოჯახთან, რომ ჩავიჭერი. თავმდაბალი კაცია, ზრდილი, ღირსეული, მოკრძალებულიც კი. არასოდეს უთქვამს საყვედური.

გულითა და სულით გილოცავთ, ბატონო ფრიდონ დაბადებიდან 80 წლისთავს. მეც ზუსტად თქვენი ასაკის ვარ, მაგრამ ასაკი არაფერ შუაშია, თქვენ ყველა იმ ღირსეული რუსთაველის თანატოლი ბრძანდებით, ვინც ქალაქს სიცოცხლე შეუნარჩუნა, ვინც გული შესწირა, სულიერების მაღლი დააყარა, თუნდაც ერთი აგურის ნებით, ერთი ნერვის დარგვით. თქვენ კი სიცოცხლის რისკზეც ბევრჯერ წახვედით.

თამამად ვამბობ, თქვენ იმ დღით აშკარად გვიშველეთ. დაგვიანებულ მაღლობას გიხდით და გეტყვით თამამად, ღვთის ნებით ყველა თქვენი სიკეთე შეინირების... ძალიან კეთილი სურვილებით თქვენი ოჯახის ყველა ჩემთვის საყვარელ წევრს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, კვლავაც ღირსეულად დაგემშვენებინოთ ქალაქი.

ლია მარტაშვილი

მინდა მხოლოდ ერთი ეპიზოდი გავისხნო, რომელიც პირადად მე და ჩემს თანამშრომლებს გადაგვხდა თავს.

შხედრიონელთა პარპაშია ქალაქში, ხან მეტალურგიას მიანყდებიან ტვირთბრუნები, ქარხნის დაკეტვას ითხოვენ, ხან პურის ქარხნებს ეცემიან, შიშისა და საოცარი ძრწოლების ატმოსფეროს ქმნიან, მშვიდობიან ქალაქს და ადამიანებს გაუსაძლის მდგომარეობაში აყენებენ.

ბლად ისმის რედაქციაში, კითხვა — რა გვეშველებას სხვადასხვა ინტერპრეტაციებით. აი ამ ყოფაში, ვგრძნობ, მგონი არ მალატობს მენსიერება, ფოსტის შენობის მესამე სართულზე, დაცვის მუშაკებმა რომ ვერ შეაჩერეს შემოსასვლელ კარში, რადიორედაქციაში შეიარაღებულ მხედრიონელთა 4-კაციანი ბანდა, დიას, ბანდა შემოიჭრა. მხარზე ავტომატგადაკიდებულნი სტუდიაში დაუკითხავად, უცერემონიოდ შეიჭრნენ, სადიქტორო მაგიდასთან ოთხივემ ერთად მოიკალათეს და ჩვენ, ორ ყურნალისტს, მე და ეროვნებით



ნანა ყალიჩავა

ბალახვითის წერტილი

მე გადაკვეთის ვიპოვე წერტილი, პულისი საოცარი სიჩქარით მიფეთქავს, ლექსები მაფრულებს გენების ანასხლეტი და სისხლი ველური საფეთქლებს მიხეთქავს.

ეს სული უფალს და ანგელოზს მორჩილებს, კაბები მაცვია ფერებით ლაფვარდის, სხეულზე რითმები ამდიან ნისლებად და ეს გაზაფხული ლექსებად მბარდნის.

სივრცეებს ჩავუშვებ მისურულ დარაბებს, შორს, სამყაროს მიღმა გადავიჯირითებ, მე ქვებზე ნარბენი მდინარის ტალღა ვარ, კალმახი ლექსად რომ მაყრიდა ქვირითებს. მე გადაკვეთის ვიპოვე წერტილი...

ველარ აპინძა

რა ციცაბოა ეს აღმართი და რა საშიში, მაინც მივყვები, ვითომ გულში დარდს არ ვიკარებ, შემომეძარცვა იმედები, ვით ხეს ფოთლები. და შიშველ სულზე ჩემ სევდიან ლექსებს ვიფარებ. ვერ დავემალე ცივი ზამთრის სუსხიან ქარებს, უხეში ხელით რომ ჩამიხსნა თეთრი საკინძე, სადღაც გამებნა მძივებივით ნაოცნებარი და სული ჩემი ხელმეორედ ვედარ ავკინძე.

ჩვენი თანამოქალაქე ნანა ყალიჩავა თავისი მშვენიერი პოეზიით უკვე მთელ საქართველოშია ცნობილი. იგი ორი წიგნის ავტორია და მუდმივად იბეჭდება ქვეყნის ლიტერატურულ გამოცემებში. არაერთგზის პრემირებული და ლიტერატურულ კონკურსებში გამარჯვებულის რამდენიმე ლექსს ჩვენს მკითხველსაც ვთავაზობთ.

ჩემი ბიბლია

ეს მე ვიყავი, მამულის დედა, მე ოჯალეშის ლერწებს გირგავდი, აკვანს გირწევდი, გოლოაფირო, შენ გაღმერთებდი და შენ მიყვარდი.

შენი ლეგენდის გმირებს ვეძებდი, შენი წარსულის ვიყავ მეზღაპრე, გეძებდი ყველგან, ზღვაში, ხმელეთზე და ვგრძნობდი, ერთხელ უნდა მენახე

ძარღვებში შენი სისხლი მიჩქეფდა, მისახვედრელსაც შენით ვხვდებოდი, მე შენი გენის სახელი მერქვა და შენს ნაპირებს ვეხეთქებოდი.

მეწურებოდი გულზე ზედაშედ, შენ მიჯანყებდი სისხლს და გონებას, მიკიჟინებდი ტკივილთ გაძლებას, არდაცემას და არდამონებას.

არც მე ვყოფილვარ მონა, მშიშარა, თავიც არასდროს არ დამიხრია, ქართველი ვარ და საქართველოა ჩემი ლოცვა და ჩემი ბიბლია.

როგორ გიშველო

დგახარ და ცისკენ გიჭირავს თვალი, თითქოს უფლისგან მოელი შველას, დადუმებულან შენი ზარები, დავინწყებხარ, ციხეო, ყველას.

და გცვივა ქვები, როგორც ცრემლები, იქნებ ტირიხარ მართლა, ბებერო, რით გაგიახლო ნეტავ დღეები, როგორ გიშველო და მოგეფერო...

იქნება თვლემ და გტკივა მუხლები და დრო გიგია, როგორც ქვეშაგი,

სიავითა და სისხლით უძლები, ეჩურჩულება ღამეს ეშმაკი.

ვეთაყვანები შენი კოშკიდან დილით შემოჭრილ სხივთა სინათლეს, ვინც აგიტანა მზის გულთან ახლოს, ვინც გაეჯიბრა დროს და სიმაღლეს.

შენს ძველ საძირკველს მოვეფერები, შენს შუბლზე დარდით შეკრულ ნაოჭებს, ვიცი, გტკივა და მაინც მხნედ დგახარ და მოთმინება შენი მაოცებს...

შენი მკერდიდან წვეთავს მირონი და გცვივა ქვები, ხავსმოდებული, დგახარ და ცისკენ გიჭირავს თვალი და იზმორება ათასწლეული.

ლაბრუნება

„გონის მორელმა ისევ გამოიჩია სანაპიროზე ჩვენი დღეები...“
ბელა ალანია

ეს შემოდგომა ფეხქვეშ ღამაზე ფოთლებს მომაშლის საოცარია, შენ საიდან გამომელანდე, ცელქი ქარები მოგონების ალბომს მიშლიან, თორემ ბილიკიც აღარ მოჩანს ახლა შენამდე.

ამ ტბაში თეთრი ლოტოსების სული ანთია, რას ჩურჩულებენ ამ ბინდისას ნეტავ ვერხვები, ტანზე დღესაც რომ შერჩენიათ ჩვენი სახელი, ვეაღერებები, ვეფერები, თრთოლვით ვეხები...

ასე მგონია, ისევ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, უთბილეს სიტყვებს კვლავ ვჭურჩულებ, როგორც ვედრებას მე შენს ნახვაზე, როგორც ადრე, წამოვწითლდები, დავიბნევი და კვლავ მუხლები მომეკვეთება.

ნეტა რომელი ზღაპარიდან შემორჩა ხსოვნას — მოგონებები მინავლებულ ხანძარს მიაღებს, ვით ზღვის მოქცევა, უკაცრიელ ნაპირს ვანყდები და ქარიშხალი ცხელ ქვიშაზე მიხეტილებს...

ყოველ მოსვლაზე ვმეორდები ისევ თავიდან, მაინც სიმშვიდით ვუმკლავდები ბედის დაცინვას, უღურჯეს ტბასთან, ლოტოსები სადაც ჰყვავიან, ამოდ ვცდილობ, სევდისა და დარდის ჩაძირვას.

რეპორაჟი ახალგაზრდობის პარკიდან

ძალღი მებობარია, მებრამ წესი და კანონი ყველამ უნდა დავიცვაო!



ამ საგაზეთო წერილის წამკითხველს თავიდანვე ვაფრთხილებ, ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები-მეთქი, რომ ვწერ, ვინმეს არ ეგონოს, თბილისში, გლდანის სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის ამ სახელწოდების ცნობილი და საკმაოდ პოპულარული სპექტაკლი მაქვს მხედველობაში. არა! რუსთავის ფალიაშვილის ქუჩისა და მიმდებარე ახალგაზრდობის პარკში ძაღლებზე საუბარს ვაპირებ.

ძაღლები კი, ფალიაშვილის ქუჩის სახლების ეზოებსა და ქუჩებში, იმდენი დაძუნძულებენ, ძალიანაც რომ მოინდომოთ, იქნებ ვერც დათვალოთ... დათვლას შეეცდები და, თავის დამცავი საშუალებებით უნდა იყო შეიარაღებული. ეს თავის დამცავი საშუალებები, არ გეგონოთ, მარტო ოთხფეხებისაგან დასაცავად დაგჭირდებათ, უფრო მათი პატრონებისაგან...

წლის ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით დილის და საღამოს საათებში, როცა პარკს ბევრი დამსვენებელი ჰყავს, როგორც მცირეწლოვნები, ისე ახალგაზრდები და ასაკოვანნი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თავისუფლად მოსვირნე ძაღლებს ფეხს ვერ აუქცევთ. თუ ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება, კეთილი ინებოს და თავისი თვალთ ნახოს ყველაფერი და უკმაყოფილო, გაღიზიანებული დამსვენებლების საუბარიც მოისმინოს.

დიახ, ხეივანში შეხვდებით უპატრონო ძაღლებსაც და პატრონიანებსაც. პატრონები ან წინ მიუძღვებიან თავიანთ ძაღლებს, ან გვერდით, ან უკან მიჰყვებიან... ეგრე, არც საბელი და არც ალიკაპი, და ეს მაშინ, როცა პარკში ძაღლებისათვის მონყობილია საგანგებო კუთხე, სადაც, გაგვიკვირდებათ და, სულ ორ, ან სამ ძაღლს თუ ნახავთ

თავიანთ პატრონებთან ერთად, რომლებიც ყველა შესაბამის წესს იცავენ.

ეს თვალთ ნახის და, ახლა დამსვენებლებისგან მოსმენილიც:

სურათი პირველი.

— ეს რა კარგი პარკი გაგვიკეთეს... სასიერო, ბილიკები... სკამები... სავარჯიშოები... ბავშვებისათვის გასართობი მოედანი... წყალი... სველი წერტილები... სიმწვანე და სუფთა ჰაერი... ახალი მარადმწვანე ხეებიც დარგეს... პალმები როგორ გაიზარდა, როგორ ამშ-

ვენებს აქაურობას... რამდენი ადამიანი სეირნობს, ისვენებს, ვარჯიშობს, ბავშვებიც...

— მართლა მადლობა გვეთქმის, მაგრამ... რა გინდა რა, ამდენ ძაღლს გვერდს ვერ აუვლი... ვილაცამ, ვისაც ეს ეკუთვნის, ხომ უნდა მიხედოს ამას. იმ პატრონებს, თავიანთ ხბოსავით ძაღლებს რომ დაჰყვებიან, ხომ უნდა შეახსენოს, რომ ძაღლებისათვის პარკში სპეციალური ადგილია გამოყოფილი და თუ მაინცადამაინც ბილიკზე უნდათ ასეირნონ ძაღლები, კეთილი ინებონ და

საბლით და ალიკაპით მაინც ატარონ...

— არადა, რამდენჯერ გავხდით მისი მონმე, ძაღლები როგორ გამოეკიდნენ ბავშვებს, მოხუცებსაც... მარტო გამოეკიდნენ? ისე შეაშინეს როო...

— ჰო, ეგრეა, მაგრამ აბა მიდი და გაუბედე რომელიმეს, ძაღლს ბილიკზე რატომ ატარებენ ეგრე თავისუფლად, მაგათთვის ხო ადგილია გამოყოფილი... აქეთ მოგაყენებენ შეურაცხყოფას.

სურათი მეორე.
ხანდაზმული ქალბატონი: — გოგონა, შვილო, მოკიდე ხელი

შენს ძაღლს, დაიჭირე, ხომ სედავ, მომდევს...

გოგონა: — ნუ გეშინია, არ იკბინება, ოთახის ძაღლია...

ხანდაზმული ქალბატონი: — ოთახისაა თუ ქუჩის, არ ვიცი მე... ამას წინათ იყო, მომეპარა და კაბა რომ ჩამომახია, მერე ფეხებზეც წამეტანა... მას აქეთ მეშინია. აი, ახლაც... გეხვენები, შვილო, შენ გახარებას, წაიყვანე, მომაშორე შენი ძაღლი...

— ბებო, მე გგონია, ამ ძაღლს უფრო ეშინია შენი...

სურათი მესამე:

— აგე, კიდევ... რამხელა ძაღლია, ხო გეგონება... წამოიქით, გავეცალოთ, თორემ თუ გვეცა, მტრისას...

— ჩვენ კი გავეცლებით, მაგრამ აი, ის ბავშვი გაცელება? ან ის მოხუცი, ხელჯობით ძლივს რომ გადაადგილება?

თინათინ სიყვარული

P.S. ქალაქის მერიამ თავის დროზე გაითვალისწინა მოსახლეობის თხოვნა და პარკში ძაღლებისათვის სპეციალურად შემოღობა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, სადაც ძაღლებს და მათ პატრონებს შეიძლება დაგვარად შეუქმნა სეირნობისა და დასვენების პირობები.

სამწუხაროდ, როგორც ყველა საქმეში, აქაც დაუდევრობას და გულგრილობას აქვს ადგილი. მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი არ ითვალისწინებს უმრავლესობის სურვილს და პარკის მთელ ტერიტორიაზე ასეირნებს ძაღლებს, რომელთაც ზოგჯერ ალიკაპიც კი არ უკეთიათ...

განსხვადებები, რეკლამა, განსხვადებები

გაატარე ზაფხული ბრილად

ავტომანქანების კონდიციონერების შეკეთება და დატუმბვა

უოკლას დროუ და მისაღებ ფასად!

ტელ: 551 56 12 12 გაგა



ავიჯის და ნეზისმიერი ტვირთის გადაზიდვა

საქართველოს ნებისმიერი მიმართულებით.
ტელ: 599 62 33 03



ვიბიკი მუხრანის გელ ფასი

გაყიდი, რეაუი, ჟურნალი, ნიბნი, ფორმების (ქსეროქსის) ქალაქი

მისამართი: მესხიშვილის მე-2 გასასვლელის №4-თან (ავტოსადგომის ტერიტორია) 10-დან 19 სთ-მდე ტელ: 579 808-818



რუსთავი იყიდება კათილფორფილი 3 ოთახიანი ბინა

ბინა აივანის ხარჯზე 4 ოთახადაა გადაკეთებული. მისამართი: ფალიაშვილის ქუჩა №16, ბინა 46, მე-4 სართული. ფართი 71 კვმ.

ბინა კუთხის მხრიდან გადაყურებს ეკლესიას და შემოსილია ხეებით. სამზარეულო და აბაზანა განწყობილია კაფელ-მეტლაქში და სრულადაა აღჭურვილი სათანადო ახალი კარადებით და ტექნიკით (გაზქურა, მაცივარი). საძინებელი ოთახები და ზალა დაკომპლექტებულია თანამედროვე ავეჯით. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა და გაგრილების სისტემა. ფანჯრები შეცვლილია მეტალოპლასტმასით, შესასვლელი კარი ლითონისაა. კედლებზე ტელევიზორი. ყველა ოთახშია დამონტაჟებული ლუსტრა.

ფასი: 70 ათასი დოლარი. ტელ: 598-99-19-55




რუსთავის მერია
WWW.RUSTAVI.GOV.GE

“ათასობით რუსთავედის
კრობღემა გადამყვებინდია.
რუსთაველები თბილისის
მიმართულებით კომფორტული
მუნიციპალური ტრანსპორტით
იმგზავრებიან.

ღიღი მაღლობა საქართველოს
კრემიერ მინისტრს და
მთავრობას, კარდამენგარ
ადექსანდრე დადაქიშვიდს,
ჩვენს მაჟორიტარს ირაკლი
შაბაკიშვიდს, საკრებუდოს
ფრაქცია „ქართულ იცნებას“ -
ეს სიკეთე რუსთავს, გუნდმა
ერთად მოვუგანეთ.

- ნინო დაცაბიძე



რუსთავის მერია
WWW.RUSTAVI.GOV.GE

შპს „გაზეტი რუსთავი“
რუსთავი

დირექტორი
ლარი ბარათელი
რედაქტორი
თაურ კობახიძე

გაზეტი
დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელოს
თავისუფალი პრესის
პრინციპებით

599 233-390, 599 908-918

e-mail: gazetirustavi@gmail.com

მისამართი:
რუსთავი, მგობროვის 32,
სასტუმრო „რუსთავი“,
მე-2 სართული

